



ვის: ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციას,
ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს წევრებს

ვისგან: ი. ხახალეიშვილი – ადს საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი

თემა: იანვარი-თებერვლის თვის ანგარიში

თარიღი: 4 მარტი 2009

1. ადგილობრივი სიტუაცია

- ახალ 2009 წელს ქუთაისი განახლებული იერსახით შეხვდა. ქალაქის ცენტრალური ნაწილის რეაბილიტაციის I ეტაპი დამთავრდა. 15 მილიონი ლარი იქნა დახარჯული ცენტრალური ბიუჯეტიდან აღნიშნული სამუშაოების ჩატარებაზე. ისტორიული უბნის შენობები და ქუჩები სრულიად იქნა რეაბილიტირებული, დამონტაჟდა ახალი სანათები. როგორც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ისტორიული უბნის პრეზენტაციაზე ბრძანა, 2009 წლის გაზაფხულიდან დაახლოებით ამდენივე თანხა დაიხარჯება სამუშაოების II ეტაპზე და ქალაქის ცენტრალური ნაწილი მთლიანად იქნება რეაბილიტირებული.
ავვისტოს მოვლენების შემდეგ სიტუაცია ქუთაისში და მთლიანად ქვეყანაში შედარებით დამშვიდდა. ახალი დევნილების რაოდენობამ ქუთაისში იკლო, თუმცა ქალაქში დღეისათვის ისევ რჩება 180-მდე დევნილი ოჯახი. ხელისუფლების გადაწყვეტილებით, დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, ქუთაისში გამოყოფილი იქნა 3 შენობა სადაც ჩატარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოხდება დევნილთა კომპაქტურად განსახლება. აღნიშნული შენობების სარეაბილიტაციო თანხები გამოყოფილი იქნა ცენტრალური ბიუჯეტიდან.
- დევნილთა საკოორდინაციო საბჭო ისევ აგრძელებს მუშაობას. მას ხელმძღვანელობას უწევს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარის ქუთაისის ოფისი, რომელიც 2008 წლის ნოემბრის თვიდან ფუნქციონირებს ჩვენს ქალაქში.
- რაც შეეხება პოლიტიკურ სიტუაციას, ის ისევ დაძაბულია. რუსების საოკუპაციო ძალები ისევ აკონტროლებენ ახალგორის რაიონს, კოდორის ხეობასა და სოფელ პერევეს, რაც არის სარკოზი-მედვედევის შეთანხმების უხეში დარღვევა.

2. გაწეული საქმიანობები

- უპირველეს ყოვლისა, მინდა გაცნობოთ რომ ქალაქის თვითმმართველობის გადაწყვეტილებით სააგენტოს გამოეყო 2 ოთახი საოფისედ თვითმმართველობის შენობაში. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს ვინაც მონაწილეობა მიიღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში. ჩვენი ოფისის ახალი მისამართია: რუსთაველის გამზირი №3ა.

- როგორც ზემოთ ავღნიშნე, ქალაქში სრულდება 3 შენობის რეაბილიტაცია რომლებიც “ახალი” ლტოლვილებისთვის იქნება განკუთვნილი. ლტოლვილები სრულად განთავსდებიან ამ შენობებში. მათი საჭიროებებიდან გამომდინარე და ადგილობრივ თვითმმართველობასთან შეთანხმებით, სააგენტომ მოახდინა 117 ელექტრო გამათბობელის შექმნა, რომელიც თოთოეულ ოჯახს გადაეცემა ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ. აღნიშნული აქცია შედგა ნიუპორტ-ქუთაისის ასოციაციისა და სააგენტოების ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს ვინაც გაიზიარა ლტოლვილების პრობლემები და მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ აქციაში.
- საანგარიშო პერიოდში სააგენტოს მიერ აქტიური მუშაობა იქნა გაწეული ახალი პროექტების მომზადების მხრივ. მომზადებული და წარდგენილი იქნა 9 პროექტი, კერძოდ:
 1. დეკემბრის თვის ბოლოს სააგენტომ გაეროს განვითარების ფონდში დასაფინანსებლად წარადგინა პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება საქართველოში“. პროექტის მიზანია გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოება, ქალებისა და საზოგადოების შეჭირვებული წევრების ჩათვლით; ადვოკატირებისა და დიალოგის მეთოდების გაძლიერება მათი ინტერესების გათვალისწინებით; გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩართულობის გაძლიერება და დიალოგის წარმართვა ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის. პროექტის განმხორციელებელი იქნება სააგენტოების ასოციაცია, ხოლო პარტნიორები სააგენტოსთან ერთად არიან „სიაიემს კონსალტინგი“ (CIMS Consulting), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაცია, ქალაქი მონფალკონე და „ასაელი“ (ASAEL). პროექტის ჯამური ბიუჯეტია 304,180.00 დოლარი (\$). ინფორმაცია წინასწარი შედეგების შესახებ ცნობილი გახდება 2009 სექტემბერში.
 2. იანვრის თვეში ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა გამოაცხადა კონკურსი ეკოლოგიური ხასიათის პროგრამებისთვის “Ecological Awards Program”. აღნიშნული კონკურსის ფარგლებში სააგენტომ ნიუპორტის “ვეისტსეივერებთან” ერთად მოამზადა პროექტი „განათლების გზით ნარჩენების მართვის საკითხებზე ინფორმირების გაზრდა“ (Raise Awareness on the Waste Management through Education). პროექტის მიზანია აამაღლოს მოქალაქეთა ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ შევამციროთ საყოფაცხოვრებო ნარჩენები და ეფექტურად გამოვიყენოთ ან გავანადგუროთ ისინი. ეს არის საპილოტო პროექტი, რომელიც ქუთაისის მე-7 საჯარო სკოლას მოიცავს. პროექტის ფარგლებში გარდა საინფორმაციო კომპონენტისა ასევე არის საგანმანათლებლო კომპონენტი, მათ შორის 10-მდე მასწავლებლის გადამზადებას ნიუპორტში, “ვეისტსეივერების” მიერ. პროექტის მენეჯმენტი ეკუთვნის სააგენტოს, ხოლო პარტნიორები არიან: Newport City Council, Wastesavers Charitable Trust Ltd., ქუთაისის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი. პროექტი 15 თვიანია და მისი სავარაუდო ბიუჯეტია 85,639.62 დოლარი (\$). კონკურსის შედეგები ცნობილი გახდება მარტის თვის ბოლოს.
 3. როგორც თქვენთვის ცნობილია, გასულ წელს სააგენტომ პოლონელ პარტნიორთან, “საერთაშორისო ინიციატივების ბიურო“-სთან, ერთად განახორციელა პროექტი “აქტიური საქართველო. ქალთა აკადემია”.

პროექტის ხელმძღვანელების ქუთაისში ვიზიტის დროს შედგა შეხვედრა ქალაქის საკრებულოს წევრებთან, ბატონებთან და ვით გოგისვანიძესთან, ანდრო ლოსაბერიძესა და მერაბ მეშველიანთან. ამ შეხვედრაზე ერთ-ერთ პრიორიტეტად ქალაქის განვითარებისათვის დასახელებული იქნა ტურიზმის ხელშეწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის თებერვლის თვეში, პოლონელ პარტნიორებთან ერთად მომზადებული იქნა ახალი პროექტი „ტურიზმის დაგეგმარება და მართვა, როგორც მეთოდი რეგიონის და ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი განვითარებისათვის მალოპოლსკის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამცდილების გათვალისწინებით“ ("Tourism planning and management as a tool of local development of the Region of Imereti and City of Kutaisi. Experience of the local government and Malopolski District"). პროექტი წარდგენილ იქნა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. პროექტი 12 თვიანია და მისი საგარეო ბიუჯეტი 40,000.00 ევრო. მენეჯმენტი ეკუთვნის პოლონურ ორგანიზაციას, ხოლო ქართული მხრიდან პარტნიორები არიან სააგენტო და ქალაქის საკრებულო.

4. იანვრის თვეში ასევე მომზადებული იქნა ერთობლივი პროექტის განაცხადი ევროკავშირის საგრანტო კონკურსის „არასახელმწიფო აქტორები და ადგილობრივი მმართველობები საქმიანობების განვითარების კუთხით პარტნიორ ქვეყნებში (ადგილობრივი მმართველობითი ორგანიზაციებისათვის)" Non-State Actors and Local Authorities in Development Actions in partner countries (for Local Authorities). განაცხადი მომზადებული იქნა ქალაქ კიშინიოვის ინიციატივით და პარტნიორები არიან ქალაქის თვითმმართველობა და სააგენტო. პროექტი მიზნად ისახავს პარკებისა და სკვერების ევრო სტანდარტების მიხედვით მოწყობას და განაშენიანებას. პროექტის 2 წლიანია და მისი საგარეო ბიუჯეტი 810,000.00 ევრო.
5. იანვრის თვეში ასოციაციასთან ერთად მომზადდა პროექტი „ევროპის მოხალისეთა სერვისი-გზა ევროპული ურთიერთგაგებისთვის“ ("EVS-the Way to European Understanding"). ეს პროექტი ითვალისწინებს ევროპის მოხალისეთა სერვისის ხელშეწყობასა და წახალისებას ქუთაისში. პროექტის მენეჯმენტი ეკუთვნის ასოციაციას, ხოლო პარტნიორები არიან: სააგენტო; ქუთაისის ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტი და არასამთავრობო ორგანიზაციები საფრანგეთიდან, იტალიიდან, ლიტვიდან, პოლონეთიდან, სასომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და მოლდოვეთიდან. პროექტის 5 თვიანია და მისი საგარეო ბიუჯეტი 29,786.00 ევრო. პროექტი წარდგენილი იქნება 2009 წლის 1 აპრილამდე „სალტოს“ საფრანგეთის ეროვნულ სააგენტოში.
6. თებერვლის თვეში მომზადებული იქნა პროექტი „აქტიური ქალები-აქტიური საზოგადოება!" (Active Women - Active Society!), რომელიც წარდგენილ იქნა თურქეთში კანადის საელოს საგრანტო კონკურსზე. პროექტის მიზანია ქალთა ჩართულობისა და ქალთა უფლებების პროპაგანდა იმერეთის მხარის 6 მუნიციპალიტეტში. პროექტი 8 თვიანია და მისი საგარეო ბიუჯეტი 19,699.56 დოლარი (\$). წარმატებული განაცხადების შერჩევა მოხდება აპრილის თვეში.
7. თებერვალში იქნა წარდგენილი პროექტი „დევნილი ახალგაზრდების უნარ-ჩვევების განვითარება" ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოში". პროექტის მიზანია აგვისტოს ომის შემდეგ დევნილი ახალგაზრდების ინტეგრაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის გაზრდა ქუთაისში. პროექტის განხორციელება ახალ კოლექტიურ ცენტრებში და

8. თებერვალში ევროკავშირის საგრანტო კონკურსის „თანამშრომლობა ურბანული განვითარებისა და დიალოგისთვის“ (“Cooperation in Urban Development and Dialogue” (CIUDAD) ფარგლებში მომზადებული იქნა ორი განაცხადი სხვადასხვა ორგანიზაციებთან კოალიციაში. ერთი მათგანის ლიდერი ორგანიზაციაა იტალიის ქალაქი ლეჩე და პროექტი შეეხება სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლას და იმ რეგულაციების გაძლიერებას, რომლებიც ეკონომიკის მდგრად და სიცოცხლისუნარიან განვითარებას შეეხება ქალაქის რეალობაში და მის ფარგლებში. ეს მოიცავს სწავლებისა და წარმატებული გამოცდილების გაზიარებას იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც პროექტში არიან ჩართულნი (იტალია, მოლდოვეთი, საქართველო და ბოსნია-ჰერცეგოვინა). პროექტის პარტნიორები არიან ორგანიზაცია „იპრესი“, ადს საქართველო, ქალაქი ქუთაისი, ადსა და ადს მოსტარი. პროექტის ხანგრძლივობა იქნება 2 წელი და მისი სავარაუდო ბიუჯეტი არის 400,000.00 ევრო.

მეორე კონსორციუმი იგივე საგრანტო კონკურსის ფარგლებში მომზადდა ქალაქ მონფალკონეს ლიდერობით და მისი მიზანია წარმატებული მიმართელობა და მდგრადი ურბანული განვითარების დაგეგმარება.

პროექტის მიზანია შეეხოს ისეთ საკითხებს ურბანულ განვითარებაში ისეთი საშუალებების გამოყენებით, როგორცაა მრავალდარგობრივი მიდგომა, ინდუსტრიული მრეწველობის პრობლემების გათვალისწინებით. კერძოდ, ეს მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- სატრანსპორტო სისტემა (ხალხის გადაყვანა და სამრეწველო საქონლის, ტვირთის გადაზიდვა) შიდა პერსპექტივისა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. ეს შეეხება ტვირთების გადაზიდვას, მომსახურე პერსონალის ტრანსპორტირებას;
- მომსახურე პერსონალის მომსახურება (ადგილობრივი მოსახლეობა, მცირე ვადით შემოსული რეზიდენტები ან ტრანზიტის მქონე პირები);
- სოციალური სფეროს კომპლექსურობა ემიგრაციასთან მიმართებაში.

პროექტის პარტნიორები არიან სააგენტო; ქალაქი ქუთაისი; ქალაქი ოდესა; ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროექტის ხანგრძლივობაა 36 თვე, სავარაუდო ბიუჯეტი 412,500.00 ევრო.

9. თებერვლის თვის ბოლოს სააგენტოების ასოციაციის მიერ ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის ოფისის ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან დაფინანსებაზე წარსადგენად გაეგზავნა პროექტი „ადგილობრივი კოალიციები ქალაქ ქუთაისში საქმიანობების გასავითარებლად“ (“Local Coalitions for Development Actions in Kutaisi”). პროექტის მიზანია ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებიდან კადრების განვითარება და სამოქალაქო ორგანიზაციების შესაძლებლობების ამაღლება რათა მოხდეს ფართო სპექტრის ეფექტური ინტერსექტორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება და მდგრადი განვითარება. პროექტის პარტნიორები არიან: ადს საქართველო, საქართველოს პოლიტიკური სწავლებების სკოლა (the school of political studies Georgia), საქართველოს

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, „NALAG“ ქალაქი ქუთაისი, არაგონის ადგილობრივი თვითმმართველობის ნაციონალური ასოციაცია (ესპანეთი) და მონფალკონეს მუნიციპალიტეტი (იტალია). პროექტის ხანგრძლივობაა 24 თვე და სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 250,000.00 ევროს.


- როგორც თქვენთვის ცნობილია სააგენტოში სასწავლო პრაქტიკაზე იმყოფება ბრესტის (საფრანგეთი) უნივერსიტეტის სტუდენტი ანა თერვილი. ის 20 აპრილამდე დარჩება ქუთაისში და იმუშავებს ევროპული პროექტების მომზადებაზე. 11 თებერვალს მასთან ერთად შეეხვედით ბატონ იუბერ დიუოს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს ატაშეს თანამშრომლობის საკითხებში. ბატონმა დიუომ კმაყოფილება გამოთქვა სააგენტოსთან ფრანგული ქალაქების სტრასბურგისა და ნანტის თანამშრომლობის შესახებ და გამოთქვა მზადყოფნა საელჩოს მხრიდან მხარდაჭერის შესახებ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში სტრასბურგისა და ქუთაისის ერთობლივი პროექტისათვის რეკომენდაციის გაწევაზე. შეხვედრაზე სააგენტოს წარდგენის შემდეგ ბატონ დიუოს წარედგინა სხვადასხვა პროექტები რომლებიც მომზადებულია სააგენტოს მიერ, რაზეც ბატონი დიუო დაგვიპირდა მხარდაჭერას საელჩოს ბიუჯეტიდან გამომდინარე შესაძლებლობების ფარგლებში.
- თებერვლის თვეში სააგენტოში ქალაქ თბილისის წარმომადგენლებმა დაგვიდასტურეს თანხმობა 2009 წლისთვის საწევრო გადასახადის 1000 ევროს გადახდის შესახებ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ყველა იმ პიროვნებას ვინც მონაწილეობა მიიღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში. როგორც თქვენთვის ცნობილია, სააგენტოს წესდების თანახმად ასეთი სახის გადაწყვეტილება საჭიროებს სააგენტოს გამგეობის თანხმობას. აღნიშნულიდან გამომდინარე სააგენტოს გამგეობის წევრებს უკვე დაეგზავნა წერილები 2009 წლის 12 მარტს გამგეობის მოწვევის თაობაზე. წესდების თანახმად გადაწყვეტილების მიღება (თანხმობა საწევრო თანხაზე) ასევე შესაძლებელია წერილობითი შეტყობინების სახით, რომელიც დაზღვეული წერილის სახით უნდა იქნეს გამოგზავნილი სააგენტოს მისამართზე და უნდა ჩამოვიდეს ქუტაისში სხდომამდე 2 დღით ადრე, ანუ მაქსიმუმ 10 მარტს. ვიმედოვნებ, გამგეობის წევრების პასუხი მოგვეწოდება დროულად.

3. სამომავლო გეგმები

- სააგენტოს გამგეობის სხდომის მომზადება.
- ელექტროგამათბობლების დარიგება და საბოლოო ანგარიშის მომზადება.
- შავი ზღვის ფონდის საგრანტო განაცხადზე მუშაობა.
- ქალაქ მონფალკონესთან ერთობლივი პროექტზე მუშაობა ფრიული-ვენეცია ჯულიას რეგიონის საგრანტო კონკურსის ფარგლებში
- ვენეტოს რეგიონის საგრანტო კონკურსის ფარგლებში პროექტის მომზადება აქტიურ მოქალაქეობაზე.

რეაბილიტირებული ქალაქის ცენტრის ფოტოები







ვის: ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციას,
ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს წევრებს

ვისგან: ი. ხახალეიშვილი – ადს საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი

თემა: მარტის თვის ანგარიში

თარიღი: 4 აპრილი 2009

1. ადგილობრივი სიტუაცია

- მარტის თვეში ქალაქში გაგრძელდა სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება. მთლიანად შეიცვალა საფარი ქალაქის ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალზე, ჭავჭავაძის გამზირზე. ქალაქის წლევეანდელი ბიუჯეტი 20 მლნ ლარზე მეტია, რაც უპრეცედენტო მონაცემია ქალაქისათვის და ვიმედოვნებთ რომ მრავალი სასარგებლო საქმე გაკეთდება ამ თანხით. ადგილობრივ ბიუჯეტში ასევე გადმოირიცხება 20 მლნ ლარი ცენტრალური ბიუჯეტიდან, რომელიც ქალაქის ცენტრალური ნაწილის რეაბილიტაციას მოხმარდება. ასე რომ მიმდინარე წელს ქალაქში მრავალი პოზიტიური ცვლილება განხორციელდება.
- რაც შეეხება პოლიტიკურ სიტუაციას, ის ისევ დაძაბულია. ოპოზიცია უარს ამბობს დიალოგზე და ემზადება 9 აპრილს მიტინგის მოსაწყობად თბილისში. რუსეთის საოკუპაციო ძალები ისევ აკონტროლებენ ახალგორის რაიონს, კოდორის ხეობასა და სოფელ პერევეს, რაც არის სარკოზი-მედვედევის შეთანხმების უხეში დარღვევა.

2. გაწეული საქმიანობები

- 13 მარტს სააგენტომ ღტოლვილებს გადასცა 117 ელექტრო ღუმელი, რომლებიც ნიუპორტ-ქუთაისის ასოციაციისა და სააგენტოების ასოციაციის ფინანსური დახმარებით იქნა შეძენილი. აღნიშნულ აქციაში ასევე მონაწილეობასღებულობდა ქალაქის მერი ბატონი უგზარ შამუგია და ვიცე-მერები ბატონი ზაზა ნუცუბიძე და დავით გორდელაძე. ღტოლვილები მადლობლები დარჩნენ საჩუქარით. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ღტოლვილების, ადგილობრივი თვითმმართველობის და სააგენტოს სახელით კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა ყველა იმ ადამიანს რომელმაც მიიღო მონაწილეობა თანხის შეგროვებაში.
- მარტის თვეში დამოუკიდებელმა აუდიტორულმა ფირმამ “საქართველოს აუდიტორთა კომპანია” განიხილა სააგენტოს 2008 ფინანსური დოკუმენტაცია და დადო დადებითი დასკვა სააგენტოს მიერ გასულ წელს გაწეული ფინანსური საქმიანობის შესახებ. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო აღმასრულებელი დირექტორის ასისტენტს ფინანსებისა და ადმინისტრაციის საკითხებში თეა ნუცუბიძეს გაწეული წარმატებული სამუშაოსათვის.
- საანგარიშო პერიოდში სააგენტოს მიერ მომზადებული იქნა 3 ახალი პროექტი რომლებიც წარდგენილ იქნა დაფინანსებაზე. კერძოდ:

- ✓ პროექტი, “ქართული დიასპორა ქუთაისის განვითარებისათვის” მომზადებული იქნა ჰოლანდიაში ქართული დიასპორის ორგანიზაცია “ქართული სათვისტომო“-სთან ერთად “EC-UN Joint Migration and Development Initiative’s” Call for Proposals ფარგლებში. პროექტის მიზანია ქართული სათვისტომოს წარმომადგენლების მხარდაჭერითა და მონაწილეობით ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესს ქუთაისში. დაგეგმილია როგორც საგანმანათლებლო და გაცვლითი პროგრამები, ასევე ჰოლანდიური ტექნოლოგიების წარდგენა ადგილობრივი მეწარმეებისათვის. პროექტის ხანგრძლიობა 2 წელია, მისი ბიუჯეტი დაახლოებით 200 000 ევროს შეადგენს და მისი მენეჯმენტი ჰოლანდიურ მხარეს ეკუთვნის.
- ✓ მეორე პროექტი, “კომპასიტო - ინსტრუმენტი ბავშვთა უფლებების შესწავლისათვის”, მომზადებული იქნა სააგენტოში სასწავლო პრაქტიკაზე მყოფი ფრანგი სტუდენტის ანა თერვილის მიერ. პროექტი მიზნად ისახავს ევროსაბჭოს მიერ ბავშვთა უფლებების განათლების სფეროში მომზადებული სახელმძღვანელოს “კომპასიტო-ს ბაზაზე, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის სემინარებისა და თანასწორ განმანათლებელთა ტრენინგების მოწყობას ქუთაისში. პროექტის ექსპერტი იქნება თამუნა კეპულაძე, რომელმაც სააგენტოს ხელშეწყობით ერთკვირიანი სწავლების კურსი გაიარა ქალაქ ბუქარესტში ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგში და არის “კომპასიტოს” სერტიფიცირებული ტრენერი. პროექტს საგანმანათლებლო მასალებით უზრუნველყოფს ევროპის საბჭოს საინფორმაციო ოფისი საქართველოში და იუნისეფის თბილისის ოფისი. პროექტის ბიუჯეტია 7950 ევრო. ის დასაფინანსებლად წარდგენილ იქნა ევროპის ახალგაზრდულ ფონდში.
- ✓ მესამე პროექტი, “ახალგაზრდობა ადამიანთა ტრეფიკინგისა და არალეგალური მოგზაობის წინააღმდეგ”, მომზადებული იქნა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ღია საგრანტო კონკურსის ფარგლებში. პროექტის იდეა მოწონებული იქნა ფონდის მიერ იანვრის თვეში და ახლა პროექტის სრულყოფილი ვარიანტი იქნა მომზადებული. ეს პროექტიც ადგილობრივი ახალგაზრდობისთვის არის მომზადებული და ასევე განხორციელდება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. პროექტის სავარაუდო ბიუჯეტია 20 000 დოლარი.
- ✓ სააგენტოების ასოციაციასთან ერთად სააგენტომ მოამზადა პროექტი რომელიც ითვალისწინებს “ახალი” ლტოლვილების შესაძლებლობების ზრდას, კერძოდ ლტოლვილთა კოლექტიურ ცენტრებში თემის მობილიზაციის პროექტს და სათემო ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, მათ გადამზადებას და საოფისე ტექნიკით უზრუნველყოფას. პროექტი წარდგენილ იქნა ვენეტოს რეგიონის (იტალია) მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსზე.
- ✓ მარტის თვეში სააგენტომ “ახალგაზრდობა სწორი მიმართულება” პროექტის ფარგლებში დაიწყო საინფორმაციო სემინარისა და 3 დღიანი ტრენინგის კურსის მომზადება ევროპის მოხალისეთა სერვისის შესახებ. საინფორმაციო შეხვედრა გაიმართება უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, ხოლო ტრენინგი იმ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის რომლებიც ახალგაზრდულ საქმიანობებზე მუშაობენ. ეს საქმიანობები დაფინანსებული იქნება “ახალგაზრდობა სწორი

მიმართულება” პროექტის მიერ და ფასილიტაციას გაუწევინ სალტოს ქართველი მულტიპლაიერები

- ✓ გასულ თვეში იყო არასასამონეო ინფორმაცია. მივიღეთ ორი უარყოფითი პასუხი სააგენტოს მიერ მომზადებული პროექტების დაფინანსებაზე. სამწუხაროდ არ დაფინანსდა ნიუპორტთან ერთად მომზადებული „განათლების გზით ნარჩენების მართვის საკითხებზე ინფორმირების გაზრდა“ (Raise Awareness on the Waste Management through Education) პროექტი, რომელიც ევრაზიის ფონდში იყო წარდგენილი და ასევე არ დაფინანსდა პროექტი „დეფინილი ახალგაზრდების უნარ-ჩვევების განვითარება“, რომელიც წარდგენილი იყო ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოში“.
- ✓ მარტის თვეში დაგეგმილი სააგენტოს გამგეობის სხდომა ვერ შედგა, რადგან გამგეობის წევრების მიერ დროულად ვერ იქნა მოწოდებული წერილობითი გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მიერ 2009 წლის საწევრო გადასახადის დამტკიცების თაობაზე. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვთხოვო გამგეობის წევრებს შეგვატყობინონ წერილის გამოგზავნასთან დაკავშირებით არსებული სიტუაცია. შეხვედრის თარიღი დადგენილი იქნება მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

3. სამომავლო გეგმები

- სააგენტოს გამგეობის სხდომის მომზადება.
- ქალაქ მონფალკონესთან ერთობლივი პროექტზე მუშაობა ფრიული-ვენეცია ჯუღიას რეგიონის საგრანტო კონკურსის ფარგლებში
- ევროპის მოხალისეთა სერვისის შესახებ პროექტის მომზადება და წარდგენა სააგენტოს ასოციაციაში



ვის: ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციას,
ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს წევრებს

ვისგან: ი. ხახალეიშვილი – ადს საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი

თემა: აპრილი-მაისის თვის ანგარიში

თარიღი: 4 ივნისი 2009

1. ადგილობრივი სიტუაცია

- ქალაქის ცენტრალურ ნაწილში კვლავ გრძელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები. სრულდება ცენტრალური ნაწილის ქუჩების პროექტირების სამუშაოები და ივნისის თვიდან უკვე დაიწყება სახლების ფასადებისა და ქუჩების საფარის აღდგენითი სამუშაოები.
- რაც შეეხება პოლიტიკურ სიტუაციას, ის ისევ დაძაბულია. ოპოზიციამ ორი დიდი შეკრება მოაწყო 9 აპრილს და 26 მაისს, ასევე მოხდა ოპოზიციის ხელმძღვანელებისა და პრეზიდენტ სააკაშვილის შეხვედრა. სამწუხაროდ უნდა ითქვას რომ შეთანხმება არასაპარლამენტო ოპოზიციასა და პრეზიდენტს შორის ვერ შედგა. შეიძლება ითქვას რომ ქვეყანა მძიმე პოლიტიკურ კრიზისში იმყოფება, რასაც ემატება გლობალური ეკონომიკური კრიზისიც და ამ გარემოებათა ერთობა მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის განვითარებას. რუსეთის საოკუპაციო ძალები ისევ აკონტროლებენ ახალგორის რაიონს, კოდორის ხეობასა და სოფელ პერევეს. რუსეთის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დეფაქტო სასაზღვრო ძალები ერთობლივად აკონტროლებენ საზღვარს და ახდენენ უკანონო სასაზღვრო ნაგებობების მშენებლობას საქართველო ოკუპირებულ ტერიტორიებზე. სამწუხაროდ საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა სარკოზი-მედვედევის შეთანხმების შესრულების თაობაზე არაეფექტურია და რუსეთი განაგრძობს საერთაშორისო შეთანხმებების უხეშად დარღვევას.

2. გაწეული საქმიანობები

- გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში მინდა დავიწყო სასიხარულო ინფორმაციით. იტალიის რეგიონმა ვენეტომ დააფინანსა სააგენტოსა და სააგენტოების ასოციაციის მიერ ერთობლივად მომზადებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს “ახალი” ლტოლვილების შესაძლებლობების ზრდას, კერძოდ ლტოლვილთა კოლექტიურ ცენტრებში თემის მობილიზაციის პროექტს და სათემო ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, მათ გადამზადებას და საოფისე ტექნიკით უზრუნველყოფას. პროექტი განხორციელდება სამივე საერთო საცხოვრებელში 5 თვის განმავლობაში და მისი ბიუჯეტი იქნება 20 000 ევრო.
- როგორც თქვენთვის ცნობილია, მარტის თვეში სააგენტომ ლტოლვილებს გადასცა 117 ელექტრო ღუმელი, რომლებიც ნიუპორტ-ქუთაისის ასოციაციისა და სააგენტოების ასოციაციის ფინანსური დახმარებით იქნა შეძენილი. აღნიშნული თანხიდან დარჩენილი 143 ლარით შეძენილი იქნა სასკოლო წიგნები, რომელიც ნიუპორტ-ქუთაისის ასოციაციასთან შეთანხმებით გადაეცა ქუთაისის №44

საჯარო სკოლას. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ლტოლვილების, ადგილობრივი თვითმმართველობის და სააგენტოს სახელით კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა ყველა იმ ადამიანს რომელმაც მიიღო მონაწილეობა თანხის შეგროვებაში.

- მაისის თვეში სააგენტომ “ახალგაზრდობა სწორი მიმართულება” პროექტის ფარგლებში და ქუთაისის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პარტნიორობით განახორციელა საინფორმაციო შეხვედრა და 2 დღიანი ტრენინგ-კურსი ევროპის მოხალისეთა სერვისის შესახებ. საინფორმაციო შეხვედრა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის გაიმართა ა.წერეთლის უნივერსიტეტში, რომელსაც ესწრებოდნენ ქალაქის მერი ბატონი ნუგზარ შამუგია, ვიცე-მერი ბატონი დავით გორდელაძე, უნივერსიტეტის რექტორი ბატონი გიორგი ონიანი. შეხვედრას დაესწრო 70-მდე სტუდენტი ქალაქის უმაღლესი სასწავლებლებიდან. 2 დღიანი ტრენინგი განკუთვნილი იყო იმ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის რომლებიც ახალგაზრდულ საქმიანობებზე მუშაობენ. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 17 მონაწილემ, რომლებსაც გადაეცათ სერთიფიკატები. აღნიშნულ ღონისძიებებს ფასილიტაცია გაუწიეს SALTO-ს აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რეგიონის საგანმანათლებლო ცენტრის წარმომადგენლებმა გიორგი კაკულიამ და რუსუდან ყალიჩავამ.
- 27 აპრილს ქუთაისში გაიმართა სააგენტოს გამგეობის სხდომა. დეტალური ინფორმაცია სხდომის შესახებ მოცემულია თანდართულ დოკუმენტში.
- სააგენტოს პარტნიორ ქალაქ მონფალკონესთან ერთად მომზადდა პროექტი რომელიც მიზნად ისახავს ქუთაისში და იმერეთის მხარეში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას. აღნიშნულ პროექტი წარდგენილი იქნა იტალიის რეგიონის ფრიული-ვენეცია ჯულიას საგრანტო კონკურსის ფარგლებში. პროექტის ბიუჯეტის 35 000 ევრო და საბოლოო გადაწყვეტილება დაფინანსების თაობაზე სექტემბრის თვეში გახდება ცნობილი.
- 25-27 მაისს, ბრიუსელში გაიმართა სააგენტოების ასოციაციის გენერალური ასამბლეა და ასოციაციის დაფუძნების 10 წლის იუბილე. ღონისძიებებს უმასპინძლა ევროპის რეგიონთა საბჭომ და წარმოდგენილი იქნა ის მუშაობა რომელიც ასოციაციამ და სააგენტოებმა გაწიეს. დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ თემაზე შეგიძლიათ იხილოთ http://alda-europe.eu/alda/front_content.php?idcat=2&idart=506
- სამწუხაროდ არ იქნა დაფინანსებული პროექტი, “კომპასიტო - ინსტრუმენტი ბავშვთა უფლებების შესწავლისათვის”, მომზადებული სააგენტოში სასწავლო პრაქტიკაზე მყოფი ფრანგი სტუდენტის ანა თერვილის მიერ. პროექტი დასაფინანსებლად წარდგენილ იყო ევროპის ახალგაზრდულ ფონდში.

3. სამომავლო გეგმები

- ახალი პროექტების მომზადება
- მონაწილეობის მიღება ტრენინგ-პროგრამაში „საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მონიტორინგის და შეფასების შესაძლებლობების შექმნა“
- მონაწილეობის მიღება საერთაშორისო კონფერენციაში “ქალაქების როლი ევროპის სამეხოზობლო პოლიტიკაში”